



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N1**

ქ.ლანჩხუთი

13.01.2017 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გელა კილაძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელის“ თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე კახა ურუშაძე, საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ნონა მურვანიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მია კუპატაძე, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ვალერი წულაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ნუგზარ ცინცაძე, გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მედიის წარმომადგენლები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ განმარტა, რომ რიგგარეშე სხდომის ფორმატში საკრებულოს სხდომა მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივის საფუძველზე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გელა კილაძემ გააკეთა განცხადება თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე და შესაბამისად მას უწყდება უფლებამოსილება, აქედან გამომდინარე რეგლამენტის შესაბამისად არჩეულ უნდა იქნას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. საკრებულოს თავმჯდომარე ვიდრე დღის წესრიგის პროექტს სხდომას გააცნობდა, მან ქალიშვილის დაბადება მიულოცა საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ წევრს კახაბერ ასკურავას, რასაც სხდომაზე დამსწრეები ერთხმად შეუერთდნენ.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **რომან ბიწაძემ** თხოვნით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, ვიდრე სხდომას დღის წესრიგის პროექტს გააცნობდა, საკრებულოს წევრების უმრავლესობის დავალებით მისთვის განცხადების გაკეთების საშუალება მიეცა.

საკრებულოს თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** განმარტა, რომ რიგგარეშე ფორმატში მოწვეული სხდომა არის მკაცრად რეგლამენტირებული და თითოეული გამომსვლელის თემა უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხს. მან მიმართა დეპუტატებს, ისინი წინააღმდეგი ხომ არ იქნებოდნენ საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარისთვის მიეცათ განცხადების გაკეთების საშუალება, რაზეც დეპუტატების მხრიდან თანხმობა მიიღო.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **რომან ბიწაძემ აღნიშნა**, რომ საკრებულოს წევრების უმეტესობას განსხვავებული შეხედულება ჰქონდა სესიაზე დასწრებასთან დაკავშირებით, რომელიც არ უკავშირდება საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ ბესიკ ტაბიძის კანდიდატურის დასახელებას და არჩევის საკითხს. საქმე იმაშია, რომ ამ ბოლო დროს საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, რომელიც უმცირესობაში დარჩა, ცდილობს დაამკვიდროს საკრებულოს სხვა წევრების მიმართ შეურაცხყოფის მიყენების პრაქტიკა, რომლის მაგალითი მრავალია (კონკრეტიზებისგან მან თავი შეიკავა). უკვე მერამდენე სესია ტარდება და დასახელებული ფრაქციის მხრიდან ამ ნეგატიურ ფაქტებზე რეაგირება არ ყოფილა და არც იმათ მოუხდია ბოდიში ვისაც ეს ამბავი უშუალოდ ეხებათ. მან დაადასტურა პეტივისცემა როგორც საკრებულოს თავმჯდომარის, ასევე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეობის კანდიდატ ბესიკ ტაბიძის მიმართ, მაგრამ უპირველეს ყოვლისა დაადასტურა პატივისცემა საკუთარი თავის და მისი თანამოაზრეების მიმართ და მიუხედავად ყველაფრისა ისინი ესწრებიან საკრებულოს სხდომას. მან ბოდიში მოუხადა კოლეგებს იმის გამო, რომ შეზღუდულ იქნა მათი თავისუფალი ნება სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით მოუხადა ბოდიში საკრებულოს დეპუტატ ელისო ჭიჭინაძეს. მისი თქმით, დღეს საკუთარ თავს უნდა ვაჯობოთ, რომ ხვალ სხვებს ვაჯობოთ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1., „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: გ.ხელაძე/

სხდომას შემოუერთდნენ დეპუტატები: ადამ ხუხუნიაშვილი , გიორგი ჩახვაძე, აკაკი იმნაიშვილი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ პირველ რიგში თავისი და საკრებულოს სახელით დიდი მადლობა გადაუხადა საკრებულოს თავმჯდომარის უკვე ყოფილ მოადგილეს გელა კილაძეს ურთიერთ თანამშრომლებისთვის, მხარდაჭერისთვის და ყველა იმ საქმიანობისთვის, რომელიც მან საკრებულოს მოადგილის თანამდებობის რანგში გასწია. იგი არის განსაკუთრებული პიროვნება, რომელიც ყველა დადებითი თვისებებით გამოირჩევა. სასიხარულოა, რომ იგი დეპუტატის რანგში გააგრძელებს საქმიანობას და ისევ ერთად ურთიერთთანამშრომლობით გააკეთებენ მუნიციპალიტეტისთვის ბევრ სასიკეთო საქმეს.

საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს თავის შემადგენლობიდან, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს მუნიციპალიტეტის საკრებულო. ვინაიდან საკრებულოს თავმჯდომარის პრეროგატივაა მოადგილის კანდიდატურის დასახელება, სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ სხდომას შესთავაზა **ბესიკ ტაბიძის** კანდიდატურა. მანვე მოკლედ გააცნო საკრებულოს წევრებს ბესიკ ტაბიძის ბიოგრაფია:

ბესიკ ტაბიძე დაიბადა 1962 წლის 7 დეკემბერს სოფ. ნიგვზიანში.

1980 წელს დაამთავრა ნიგვზიანის საშუალო სკოლა.

1991 წელს დაამთავრა ქ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტი.

1995 წელს კი შ.ს.ს პოლიციის აკადემიის სრული კურსი, არის პოლიციის ვ/პოლკოვნიკი.

წლების განმავლობაში იგი მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა მნიშვნელოვან საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. მათ შორის იყო:

2005 წ. ლანჩხუთის რაი-განყოფილების კრიმინალური პოლიციის უფროსი.

2006-2007 წწ. ლანჩხუთის რაი-განყოფილების უფროსი.

2007-2008 წწ. ხელვაჩაურის რაიონული განყოფილების დაბა მახინჯაურის პოლიციის უფროსი.

2008-2009 წწ. ლანჩხუთის რაიონული სამმართველოს უფროსი.

2009-2010 წწ. იყო გურიის სამხარეოს მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორთა სამმართველოს უფროსი.

2014 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად არჩეულ იქნა ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარ დეპუტატად, ამავე წლის ივლისიდან დღემდე არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-

ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე. არჩეულია “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ლანჩხუთის საოლქო ორგანიზაციის ბიუროს წევრად.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

მეუღლე ნატო დევაძე - სოფ. ნიგვზიანის საჯარო სკოლის მასწავლებელი.

შვილები - მარიამ ტაბიძე - საამშენებლო კომპანია Dar Building-ის (დარ ბილდინგი) პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი.

ვახტანგ ტაბიძე - ქ. ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის მოსწავლე.

რეგლამენტის შესაბამისად, არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით, რომლის ტექნიკური მხარე უნდა უზრუნველყოს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ**.

დეპუტატმა **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ ვინაიდან საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეობის ერთი კანდიდატურა დასახელდა, უპრიანი იქნება საკითხი ღია კენჭისყრით იქნას მიღებული.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** განმარტა, რომ კანონის შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევისას კენჭისყრა უნდა განხორციელდეს მხოლოდ ფარული კენჭისყრის ფორმით.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ კანონის შესაბამისად საკრებულოს, სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია (რომლის ყველა წევრი სრულად ესწრება სხდომას) შეასრულებს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის პროცედურას. სხდომაზე გამოცხადდა 10 წუთიანი შესვენება.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ შეაჯამა ფარული კენჭისყრის შედეგები და საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე (30 მომხრე , წინააღმდეგი არცერთი) არჩეულ იქნა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე.

მიღებულ იქნა განკარგულება: N1 (13.01.2017 წელი)

დეპუტატმა **გელა კილაძემ** მაღლობა გადაუხადა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძეს და კოლეგებს საკრებულოს მოადგილის თანამდებობაზე ყოფნის დროს გამოჩენილი ნდობისა და თანადგომისთვის. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, ბესიკ ტაბიძეს ახალი თანამდებობა მიულოცა და წარმატებები უსურვა. როგორც აღნიშნა, ის კვლავ გააგრძელებს რიგითი დეპუტატის რანგში მუშაობას. ასევე მაღლობა გადაუხადა საკრებულოს აპარატის ყველა თანამშრომელს მათდამი დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულებისთვის.

ახალარჩეულმა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ბესიკ ტაბიძემ** მაღლობა მოახსენა საკრებულოს თავმჯდომარეს და კოლეგებს გამოჩენილი ნდობისთვის და

ერთსულოვნად მხარდაჭერისთვის. როგორც აღნიშნა, ეს პოსტი მისთვის პასუხისმგებლობაა, ისევე როგორც აქამდე დაკავებული თანამდებობები. ის კვლავ აქტიურად გააგრძელებს მუშაობას ამჯერად აღნიშნული პოზიციიდან.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო